

## ამომრჩეველთა სია

ცესკო-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოში 3 621 256 ამომრჩეველია, რომლებიც 84 საარჩევნო ოლქში არიან გადანაწილებულნი. ფიზიკური პირისა და საცხოვრისის მესაკუთრის განცხადებით, რეგისტრაციიდან მოხსნილია 77 232 ამომრჩეველი.

ცესკო-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური აცხადებს, რომ აღნიშნული მონაცემები საბოლოო არ არის და ნებისმიერ პირს ან პოლიტიკურ პარტიას, უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში, შეუძლია ცესკო-ს მიმართოს.

ამომრჩეველთა საბოლოო სია 15 სექტემბერს გამოქვეყნდება. ლოგიკურია ვიკითხოთ, – საპარლამენტო არჩევნების თარიღის გათვალისწინებით, რამდენად მოხერხდება ამ სიაში რაიმე ცვლილების შეტანა?

ამომრჩეველთა სიების დამდგენი სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელი მამუკა კაციტაძე პრესკონფერენციაზე და ინტერვიუებში აცხადებს, რომ ცესკომ სია მისი კომისიის მონაცემებზე დაყრდნობით გამოაქვეყნა და, შესაბამისად, რაიმე არსებით ცვლილებას არ ელოდება.

მამუკა კაციტაძე:

„ჩვენ ცესკო-ს გადავეცით საქართველოს ყველა იმ მოქალაქის სია, ვისზეც გაცემულია პირადობის მოწმობა და ვისაც მინიჭებული აქვს პირადი ნომერი - ანუ, ვინც კანონით არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონეა. ეს იყო სიის ოთხი კატეგორია: ძირითადი სია – 3 385 844 ადამიანი, სია მისამართის გარეშე – 52 648, რეგისტრაციის მისამართიდან მოხსნილები – 188 995 და მეოთხე, რომელიც არის პრობლემური მისამართებით. ანუ მოქალაქეებს აქვთ ისეთი მისამართები, რომ ვერც ერთ საარჩევნო უბანს ვერ მიაწვრ. მათი რაოდენობა იყო 42 390.

ამათ დაემატა დაახლოებით 6 ათასი ამომრჩეველი და ჯამურად რაოდენობა გამოვიდა 3 621 487. ეს არის ის რაოდენობა, რომელშიც ჩვენ შევიყვანეთ ის კატეგორიაც, რომელიც ადგილობრივი არჩევნების დროს ცესკო-ს არ ჰყავდა სიაში შეყვანილი.

ადგილობრივი არჩევნების დროს იყო 3 580 000 ამომრჩეველი, მაგრამ ამაში არ შედიოდა საზღვარგარეთ საკონსულოებში რეგისტრირებული ამომრჩეველი, რადგან ისინი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში არ მონაწილეობდნენ, შესაბამისად, არ გვყავდა რეესტრის მიერ დაუბნებული; ანუ ეს ხალხი აბსოლუტურად უკანონოდ იყო ხმაწართმეული,” – ამბობს კაციტაძე და დასძენს, რომ ეს ის სიაა, რომელიც შეიძლება, რომ ოლქების მიხედვით დაუბნებულად ჩაითვალოს. მისივე თქმით, ჯერჯერობით, ინფორმაცია არასრულყოფილია რეგისტრაციის მისამართიდან მოხსნილებთან დაკავშირებით:

„ცესკო-მ მხოლოდ რეესტრის მიერ რეგისტრაციიდან მოხსნილთა რიცხვი აჩვენა, რაც არასწორია. მე უკვე მქონდა ამაზე ცესკო-სთან საუბარი. რეესტრის მიერ რეგისტრაციიდან მოხსნილია 77 ათასი ამომრჩეველი. ამას კიდევ ემატება 11 ათასი და ჯამურად გამოდის 188 995 ადამიანი, ეს არის ე.წ. მიწერილი სია.

ანუ თუ გავითვალისწინებთ საზღვარგარეთ გასულთა დასტატუსებას, პლუს რეგისტრაციიდან მოხსნილებს ანუ მიწერილებს და პლუს 26 ათას გარდაცვლილს, ჯამურად ეს გამოდის ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი, რომელიც აისახა ამ სიაში. ამას დააკლდება ის კატეგორია, ვინც პირველ ოქტომბრამდე გარდაიცვლება,” – ამბობს კაციტაძე.

პარტია “საქართველოს გზის” თავმჯდომარის, კახა სეთურიძის განცხადებით (გაზეთი “რეზონანსი”, 2012 წლის 11 აგვისტო), “სტატისტიკური მონაცემებით, 2003 წელს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა იყო 4 324 00, 2008 წელს – 4 382 00, 2012 წელს – 4 469 000 ადამიანი და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებიდან გამომდინარე, მათ შორის ამომრჩეველია 3 621 00 ადამიანი, ანუ 81%.

მსოფლიოში შემუშავებული მეთოდის მიხედვით, ნებისმიერ ქვეყანაში ამომრჩეველთა რაოდენობა მოსახლეობის მაქსიმუმ 70-75%-ს შეადგენს. საქართველოში კი ეს რიცხვი (ცესკო-ს მონაცემებიდან გამომდინარე) 81%-ია.

გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ დაფინანსებული კვლევა გვაჩვენებს, რომ 2003 წელს საქართველოს მოსახლეობა იყო 3 965 000 (რაც 360 000-ით ნაკლებია ოფიციალურ მონაცემებზე), 2008 წელს 570 000-ით ნაკლებია, ხოლო 2011 წელს კი – 680 000-ით ნაკლები. 11 აგვისტოს გახეთმა „რეზონანსმა“ სათაურით „ცესკოს მონაცემები დემოგრაფიულ სტანდარტებს ეწინააღმდეგება“ ამ საკითხს სტატია მიუძღვნა.

საარჩევნო საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია „საარჩევნო ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი კახა კახიშვილი ამტკიცებს, რომ 3 600 000 ამომრჩეველი საქართველოსთვის ძალიან არარეალისტურია, გაზრდილ მაჩვენებლებს კი ხელისუფლება არჩევნების გასაყალბებლად გამოიყენებს. ეს იმის შედეგია, რომ ხელისუფლება მოსახლეობის საყოველთაო აღწერას არ ატარებს:

„ეს ციფრები სპეციალურადაა გაზრდილი და უნდობლობას იმსახურებს ის მონაცემები, რაც სახელმწიფომ „კარდაკარის“ შედეგად დადო. შესაძლოა ხელისუფლებამ ოპოზიციური პარტიების მიერ ჩატარებული „კარდაკარის“ შედეგები საერთოდ არ გაითვალისწინოს და კვლავ თავის დადებულ მონაცემებს დაეყრდნოს. ქართული კანონმდებლობით, ხელოვნურად გაზრდილი სიებით ორმაგი მანიპულირებაა შესაძლებელი. პირველი ის, რომ სახელისუფლებო ბერკეტების გამოყენებით შესაძლებელი ხდება მათი ხმების გამოყენება, ვინც არ მივა არჩევნებზე და მეორე, არჩევნების შედეგები არჩევნებზე მისული ადამიანების რაოდენობიდან ითვლება.“

სახოგადოებაში მუდმივად არსებობს იმის განცდა, რომ ამომრჩეველთა სიები ხელოვნურადაა გაზრდილი როგორც საზღვარგარეთ მყოფთა, ისე გარდაცვლილთა ხარჯზე და ხელისუფლება ამას ყოველთვის თავის სასარგებლოდ იყენებს.

შსს ამბობს, რომ მხოლოდ იმ მოქალაქეებზე აქვს მონაცემები, ვინც ქვეყანა დატოვა 2007 წლის შემდეგ, მანამდე მონაცემები არ აქვს.

არსებობს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანება, რომლის თანახმად საკონსულო აღრიცხვაზე დადგომისათვის აუცილებელია საცხოვრებელი ადგილიდან ცნობის წარდგენა. როდესაც ადამიანი საზღვარგარეთ არალეგალურად იმყოფება, ის ამ ცნობას როგორ წარადგენს?

ამიტომ შეუძლებელია მიახლოებით მაინც გავიგოთ, თუ რამდენი მოქალაქეა არალეგალურად გასული. ვინც საკონსულო აღრიცხვაზე არ იმყოფება, „საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს, რაც კონსტიტუციის დარღვევაა. მით უმეტეს, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეს აძლევენ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას და ამ უფლებას საქართველოს მოქალაქეებს უზღუდავენ“, – ამბობს კახიშვილი.

ტენდენციები რეგიონებშიც ანალოგიურად ვითარდება.

სტატიაზე მუშაობისას დაგუკავშირდი დავით წულაძეს, საარჩევნო სიების დაზუსტების გურიის რეგიონალური კომისიის ხელმძღვანელს და, ამავდროულად, „ახალი მემარჯვენეების“ ლანჩხუთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს:

„ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე გურიის რეგიონში იყო 113 637 ამომრჩეველი. აქედან ლანჩხუთში იყო 30 162, ჩოხატაურში – 18 883, ხოლო ოზურგეთში – 64 592. ახლა რაც შეეხება „კარდაკარის“ მუშაობას, – ლანჩხუთში მუშაობდა 92 რეგისტრატორი 38 უბანზე. რეგისტრატორები წყვილში მუშაობდნენ. იქ სადაც იყო 1-დან 500-მდე ამომრჩეველი, თითოეულის ხელფასი იყო 110 ლარი, ხოლო სადაც იყო 500-დან 1000-მდე ამომრჩეველი, – 200 ლარი. ყველა რეგისტრატორს ხელფასი აღებული აქვს.“

ვაგროვებდით მონაცემებს და ვაგზავნიდით ერთიანი კომპიუტერული ქსელით თბილისში, სათავე ოფისში.

ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია ლანჩხუთის ან გურიის რეგიონის ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით.

ჩვენმა კომისიამ დავაზუსტეთ, რამდენია გარდაცვლილი, წასული და ა.შ. ეს მონაცემები გადავეცით ცესკოს. ჩვენ ჩვენი ფუნქცია ამით ამოვწურეთ. „ამომრჩეველთა ლივის“ და „ოცნების“ პარალელური „კარდაკარები“ ითხოვენ სიების დაზუსტებას, ელოდებიან პარალელური კომისიების შედეგებს. ეჭვი არ მეპარება, რომ ბევრი უზუსტობა იქნება, რადგან მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 10 წელზე მეტია, არ ჩატარებულა. საზღვარგარეთ გაცილებით მეტი ადამიანია წასული, ვიდრე სახელმწიფო კომისია აღიარებს. არაოფიციალური მონაცემებით, არალეგალთა რაოდენობა 700 ათასს აჭარბებს.

ამიტომ აუცილებელია მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარება, წინააღმდეგ შემთხვევაში, რეალობასთან მიახლოებულ რაოდენობას ვერ გავიგებთ.

იცით რა არის ოპოზიციის ბრალი?

პროტესტის ნიშნად პარლამენტის წინ ვშიმშილობთ და, ამასობაში, პარლამენტში ხელისუფლება მისთვის სასურველ კანონებს ღებულობს! და ამას ისინი ახერხებენ მშვიდად, ხელს არავენ უშლით!

მერე ოპოზიციას ეს ყველაფერი ახსენდება არჩევნების წინა თვეში, როცა უკვე მიღებული კანონები მოქმედებს და გაფუჭებულ საქმეს აღარაფერი ეშველება.

ამდენი „კარდაკარით“ იმდენი ვხსრიკეთ, რომ პრობლემებმა მოიმატა, თუმცა, პრობლემები თქვენ მერე ნახეთ, ალტერნატიული „კარდაკარები“ დაზუსტებულ ვარიანტებს რომ წარმოადგენენ!...”

ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად მივმართეთ ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ზვიად ნაკაიძეს, მაგრამ ინფორმაციის მიღებაზე მისგან თავაზიანი უარი მივიღეთ:

„საოლქო-საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა, რომელზეც ამომრჩეველთა სიები უნდა დავამტკიცოთ და საუბნო კომისიებს დავუგზავნოთ, 2012 წლის 28 აგვისტოს შედგება. მანამდე ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით ვერანაირ ინფორმაციას ვერ მოგაწოდებთ, თანაც, ცესკოს ამომრჩეველთა სიები ჩვენთვის ჯერ არ გადმოუცია. ხშირად ხდება, რომ სხდომის წინ ან წინა დღეს გვიგზავნის...”

„რესპუბლიკური პარტიის“ („რესპუბლიკური პარტია“ კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრია) ლანჩხუთის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი რომან ბიწაძე საარჩევნო საკითხებში სოლიდური გამოცდილების მქონე პირია. საინტერესოა მისი კომენტარი:

“სიები არც საოლქო-საარჩევნო კომისიას აქვს და არც პოლიტიკურ პარტიებს. კაციტაძის დაპირება დაპირებად დარჩა, როცა მან მის მიერ ჩატარებული სამუშაოების შემდგომ პრეზენტაციაზე განაცხადა, რომ ჩვენ (იგულისხმება მათივე სიების დაზუსტების კომისია) გვაქვს სიები, რომელსაც გადავცემთ ყველა დაინტერესებულ მხარეს და იმ შემთხვევაში, თუ იქნება რაიმე უზუსტობები და მათ შესახებ ინფორმაციას მოგვაწვდიან, ამ შენიშვნებსაც გავითვალისწინებთო.

პრაქტიკულად რაც ვიცით სიებთან დაკავშირებით, ისევ კაციტაძის ნაამბობით ვიცით, - რომ დაახლოებით 200 ათასით გაიზარდა ამომრჩეველთა რაოდენობა საქართველოში. ანუ მიმდინარე წლის ოქტომბრის აჩვენებზე ფიქსირდება ადრე ჩატარებული არჩევნებისგან განსხვავებით რეკორდული რაოდენობა. მათი განმარტებით, ეს გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ სამოქალაქო რეესტრის მონაცემებით ქვეყანაში ფიქსირდება 200 ათასი ადამიანი, რომლებსაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი ადგილი და რეგისტრაციის ადგილი, მაგრამ ხმის მიცემის უფლებას მაინც აღუდგენთო.

გარდა ამისა, ბატონი კაციტაძე ტრაბახობს, - სიიდან 30 ათასზე მეტი მკვდარი სულია ამოღებულიო. ეს ყველაფერი არის სიცრუე, ხალხისათვის თვალში ნაცრის შეყრის მცდელობა, რადგან დარწმუნებული ვარ, კაციტაძემ

ისარგებლა არა 2010 წლის საარჩევნო სიით, არამედ უფრო ძველით. ამიტომ მიცვალებულთა რაოდენობა ბუნებრივია მეტი აღმოჩნდა ამ სიაში.

ერთი სიტყვით, ეს ხელისუფლებასთან წინასწარი შეთანხმებით განხორციელდა, რათა რამენაირი დოკუმენტი მაინც შექმნილიყო კომისიის „მუშაობის“ წარმოსაჩენად.

ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს, ოლქიც ვერ გვაწვდის. ყველა არჩევნებისას დროის ამ პერიოდისათვის პარტიის ცენტრალური ოფისიდან მაინც ვდებულობდით სიებს. სამწუხაროდ, ამჯერად ასე არ არის. ამბობენ, რომ საბოლოო სია იქნება 15 სექტემბერს, რაც ბადებს საფუძვლიან ეჭვს არჩევნების სამართლიანად ჩატარების კუთხით.

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ჩავატარეთ ალტერნატიული „კარდაკარი“. მუშაობდა 76 რეგისტრატორი და მათ ანაზღაურება ჯერჯერობით არ აუღიათ. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დაყადაღებულია პარტიის ანგარიშებიც და „კარდაკარში“ მონაწილე რეგისტრატორთა პირადი ანგარიშებიც. ვინც ვიაქტიურეთ და აქციები გაემართეთ ბანკთან, იმათ ყადაღა მოგვიხსნეს. ვინც ვერ იაქტიურა, იმათი ანგარიშები დაყადაღებული დარჩა.

“კარდაკარის” ჩატარების წესიდან გამომდინარე, ჩვენ ადგილზე მოპოვებული მონაცემების შენახვა და დამუშავება არ გვევალებოდა. მასალები გადავაგზავნეთ ცენტრალურ ოფისში. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, „ოცნების“ „კარდაკარის“ საბოლოო შედეგები მთელი ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე დღეში იქნება ცნობილი.

კომისიას თავის ვებ-გვერდზე აქვს სია, ოღონდ ინდივიდუალური მოხმარებისთვის. კონკრეტული ადამიანი შეიყვანს პირად ნომერს და ნახავს, არის თუ არა საერთო სიაში. მაგრამ ეს მეთოდი ხომ არაფრისმომცემია საერთო სურათისათვის.

არჩევნებისათვის სერიოზულ პრობლემას შექმნის უმისამართოები და აიდ-ი ბარათის მფლობელები. აიდ-ი ბარათში არ წერია მისამართი, არც რეგისტრაციის ადგილი. თანაც უბნებზე არ არსებობს აიდ-ი ბარათის წაკითხვის ელექტრონული მექანიზმი. ეს ხელისუფლებას შეუძლია გამოიყენოს სათავისოდ. ამ ბარათის მფლობელს დამატებით უნდა ჰქონდეს სპეციალური ბარათი, სადაც აღნიშნული იქნება რეგისტრაციის ადგილი.

მოქმედი ბარათის მფლობელს კარუსელზე წასვლა შეუძლია. მოქმედი კანონმდებლობით კი, მფლობელი რომელ უბანზეც მივა ხმის მისაცემად, იმ უბანზე უნდა შეიყვანონ სიაში. მარტის თვეში საარჩევნო კოდექსში ერთ-ერთი ბოლო ცვლილების თანახმად, ამ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრმა რომ გაასაჩივროს, საჩივარი არ განიხილება.

თუ ამომრჩეველთა სია საჯაროა, ნებისმიერ მოქალაქეს უნდა მიეცეს იმის შესაძლებლობა, გაეცნოს მთელი რაიონის ან თუნდაც, მთელი ქვეყნის სიას.

ცესკოს თავმჯდომარეს, ბატონ ზურაბ ხარატიშვილს ეს მოსაზრება რამდენიმე თვის წინ პირადად ვუთხარი ლანჩხუთში შეხვედრისას. მისი პასუხი იყო, რომ ქსელი გადაიტვირთებაო...

3 600 000 კაცის მონაცემები თუა ბაზაში, ქვეყნის მოქალაქეს რატომ არ უნდა მქონდეს პირადი ნომრის შეყვანის გარეშე სიის გაცნობის შესაძლებლობა?! ყველა ამომრჩეველის პირადი ნომერი რომ არ ვიცო, მაგრამ სიები მაინტერესებს?!

მაგრამ მაშინ დაზუსტდება სია და ამაშია ხელისუფლების პრობლემა!”

სტატია მინდა დავასრულო ამონარიდით 2012 წლის 23 იანვრის გაზეთ „ლანჩხუთი plus“-ში გამოქვეყნებული წერილიდან, რომელის სათაურია „სამოქალაქო რეესტრში არსებული მდგომარეობა ადასტურებს, როგორ უსირცხვილოდ მოგვატყუეს!“ (ავტორი ჯეირან ნაკაშიძე):

„საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ ამერიკის მთავრობა თბილისში ამომრჩეველთა დამისამართების მოწესრიგებისათვის მუშაობას იწყებს და ამისათვის მილიონ ამერიკულ დოლარს გამოყოფს. აშშ-ს

საელჩოს ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში დაზუსტდება 474 ათასი ობიექტის მდებარეობა, დაახლოებით 1,2 მილიონი მოქალაქე კონკრეტულ მისამართზე მიმაგრდება. პოლიტიკოსების უმრავლესობის აზრით, ეს არჩევნების უკეთ ჩატარებას შეუწყობს ხელს...

თუ ჩვენს მკითხველებს ახსოვთ, რეგისტრაციის წესში მოხდა ცვლილება, რომლის თანახმად პირს შეუძლია მივიდეს სამოქალაქო რეესტრში, თან მიიყვანოს ორი მოწმე და განაცხადოს, რომ ამა და ამ ბინაში ცხოვრობს. მოწმეები დაადასტურებენ და მიუხედავად იმისა, რომ ბინის მესაკუთრის თანხმობა არა აქვს, პირს ბინაში მაინც გაატერებენ რეგისტრაციაში. თბილისში ერთ პატარა ბინაში 40-ზე მეტი ადამიანი იყო რეგისტრირებული, ლანჩხუთში კი რეკორდი ეკუთვნის ლაშისღელეში მცხოვრებ ერთ-ერთ ოჯახს, სადაც 14 ადამიანი იყო რეგისტრირებული.

ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, ყველა გეტყვით, რომ მოქალაქეთა რეგისტრაციის საკითხებში არსებული ეს „ბარდაგი“ პირდაპირ კავშირშია საარჩევნო სიების გაყალბებასთან.

სამოქალაქო რეესტრის მთლიანი მონაცემთა ბაზა შექმნილია თბილისში და ლანჩხუთელ თანამშრომელს აქამდე მასში არავითარი შესწორების შეტანა არ შეეძლო. როდესაც წყლის გადასახადის გაწერაზე მიდგა საქმე, სწორედ მაშინ შეიტყვეს ლანჩხუთის მცხოვრებლებმა, რომ მათ ბინებში უამრავი ხალხი „ცხოვრობს“. მოგეხსენებათ, მოსახლეობაში წყლის გადასახადების გაწერა სულადობის მიხედვით ხდება და დღე არ გავა, რედაქციაში აღშფოთებული მოქალაქეები არ გვესტუმრონ თავიანთი პრობლემებით: ორნი ვცხოვრობთ ბინაში და რვა სულზე მოგვივიდა გადასახადიო. აკეთებენ პირადობის მოწმობების ასლებს და თავისუფლდებიან ზედმეტი „მდგმურებისაგან“.

ერთხანს მოქალაქეებს ამ პროცესებზე უარს ეუბნებოდნენ, მაგრამ როგორც კი არჩევნებისათვის მზადება დადგა დღის წესრიგში, ხალხის ანუ ამომრჩევლის გულის მოგება გახდა ყველაზე აქტუალური საკითხი. სწორედ ამისათვის კეთდება დღეს ყველაფერი საქართველოში...

ამ ფაქტით სრულიად აშკარად დავინახე, რომ ნაციონალები ჩვენს ხალხს ნამდვილად არ აურჩევია!

ასე გაყალბებული სიებით, ასე არეულ-დარეული სამოქალაქო რეესტრით მოგვატყუეს, დაუმატეს არაქართული მოსახლეობით დასახლებული მხარეები, არალეგალურად საზღვარგარეთ წასული ქართველები და მიდი, მოვდივარ! ხო, ისიც არ დაივიწყოთ, ვინც არჩევნებზე არ წავიდა, იმიტომ რომ ან დააშინეს (წარმოიდგინეთ, როგორ შინებიან წაგების), ან იმედი არ ჰქონდათ, რომ მათი თითო ხმა რამეს იზამდა. პატიმრები და მათი ახლობლებიც არ დაივიწყოთ...

დაბოლოს, მადლობა ბატონ რამაზ ნიკოლაიშვილს, მას რომ წყლის საკითხის მოგვარება არ დაეწყო, ვინ გვეტყოდა ჩვენ სიმართლეს? ახლა იქნებ კიდევ ნანობს...”

კესო მახარაძე



სტატია მომზადებულია გაეროს დემოკრატიის ფონდის მხარდაჭერით. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების დემოკრატიის ფონდის შეხედულებებს.